პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 159 (3643)

14 1968 წ. აგვისტო, ოთხშაბათი.

ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.



## ამომავალი მზის ქვეყნიდან

საერთაშორისო ამხანაგური მატჩების გასამართავად ახლახან სსრ კავშირში იყვნენ იაპონიის ქალთა და ვაჟთა ოლიმპიური გუნდები. იაპონელი ფრენბურთელები გამოვიდნენ რიგაში, კიევსა და მოსკოვში. მატჩებმა დიდი ინტერესი გამოიწვია: ყოველ შეხვედრას ათასობით მაყურებელი ესწრებოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ 7 წლის მანძილზე სსრ კავშირის ქალთა ნაკრები ვერა და ვერ ახერხებდა იაპონელთა დამარცხებას, ამჯერად კი მან არა თუ ერთი, რამდენიმე თამაშის მოგებაც შეძლო.

ჩვენი მოსკოველი ფოტოკორესპონდენტის ვ. ტუტოვის სურათებზე თქვენ ხედავთ სსრ კავშირისა და იაპონიის ოლიმპიური გუნდების შეხვედრათა მომენტებს...





დეპეშა მთიდან




## პირველი მასობრივი ასვლა უშბაზე

9 აგვისტოს, დღის 12 საათზე, 45 ქართველი მთამსვლელი მიხეილ ხერგიანის ხელმძღვანელობით ავიდა მწვერვალ უშბაზე. პირველი მასობრივი ალპინიადა კავკასიონის ამ უძნელეს მწვერვალზე მიეძღვნა ლენინური კომკავშირის 50 წლისთავს.

ნ. კანკავა,
ექსპედიციის ხელმძღვანელის მოადგილე.

მესტია.

## აჰყევი ამ მთებს

აჰყევი ამ მთებს, მწვანით შემოსილს,
რომ დგანან, როგორც ზეცის ბურჯები...
რამდენი მთაა საქართველოში,
ულექსოდ რომელს გადაურჩები!
აჰყევი ამ მთებს, ერთურთს მიჯრილებს
და შენი მხარე ნახე მშობელი;
ნახე, იხილე და იყიჟინე:
ეს რა მთები გვაქვს, რა ხეობები!
აჰყევ და იგრძნობ, შენს წინ რარიგად
გადიადდება შენი მთა-ბარი, —
ერთ წამში როგორ დაიმარხება
დღემდე ნათქვამი ყველა ზღაპარი!

ფირუზ ჯანაშვილი.

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

## თვალში გვხვდებათ? დიახ! სამართლიანია? არა!

გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" ყოველკვირეული დამატება „64" 2 აგვისტოს ნომერში ამ სათაურით ბეჭდავს რედაქციის რეპლიკას ვ. კორჩნოის წერილის „გულახდილი საუბრის" ერთი ადგილის გამო (გაზეთ „შახმატნაია მოსკვაში" გამოქვეყნებული ამ წერილის თარგმანი „ლელოს" 152-ე ნომერში დაიბეჭდა).

აი, ეს რეპლიკაც:

„მიხეილ ტალსა და მის საჭადრაკო სახეს დამცველები არ სჭირდება. თამაშის უჩვეულო, შეიძლება ითქვას, ბრწყინვალე სტილმა (რაც ჯერ კიდევ ნამდვილ შესწავლას საჭიროებს), შეხედულებამ ჭადრაკზე, პირველ ყოვლისა, როგორც ორი ადამიანის ხასიათის ბრძოლაზე — ყოველივე ამან ტალს ბევრი ბრწყინვალე საჭადრაკო ნაწარმოების შექმნის შესაძლებლობა მისცა და თვითონაც თანამედროვეობის ალბათ ყველაზე პოპულარულ მოჭადრაკედ აქცია. ტყუილად როდი ამბობენ ოსტატები, ტალის წაგებაც საინტერესოაო. და აი, უცებ:

„პირველ ყოვლისა (თუმცა ეს საქმეში ჩაუხედავი კაცისთვის პარადოქსული იქნება) — ტალი დიდი შაბლონის მოჭადრაკეა. მისი სტრატეგიული გეგმები არ გამოირჩევიან არც სიახლით, არც ორიგინალობით".

იქნებ ვინმე ტალის მოგვარეზეა ლაპარაკი? არა, ლაპარაკია სწორედ იმ მიხეილ ტალზე, დიდოსტატზე, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი რომ არის. და ეს დაბეჭდილია „შახმატნაია მოსკვაში".

ამ უგემური აზის გატკბობა არც იმ სახელდახელო მტკიცებას შეუძლია, რომ „სალი შაბლონისა და უდიდესი ტაქტიკური ტალანტის, დაუშრეტელი ოპტიმიზმისა და ბრწყინვალე სპორტული თვისებების შერწყმას ტალისთვის ტურნირებში ბევრი თვალსაჩინო წარმატება მოუტანია"...

რა შეიძლება ითქვას ტალის ამგვარ დახასიათებაზე?
თვალში გვხვდებათ? დიახ! სენსაციურია? მეტისმეტად.
სამართლიანი და მართებული თუ არის? მცდარია და უსამართლო.
გთხოვთ, ჩვენ საქმეში ჩახედულთა დასს მიგვაკუთვნოთ".

## ჩემპიონები ჰყავთ, ბაზები... არა აქვთ



ფოთის ქარხანა „ელექტროაპარატის" კალათბურთელებმა ამას წინათ თანაგუნდელ ი. კემულარიას ჩემპიონობა მიულოცეს. ქარხნის ფიზკულტურის საბჭომ პალიასტომის ტბაზე თევზაობაში შეჯიბრება გამართა და კემულარიამ 83 კაცში ყველაზე მეტი (4 კგ) კეფალი დაიჭირა.

ასეთი შეჯიბრებები აქ თითქმის ყოველ შაბათ-კვირას იმართება. ხშირად ეწყობა ტურისტული ლაშქრობაც. ქარხნის ახალგაზრდული კოლექტივის ყოველი მეორე მუშა-მოსამსახურე ფიზკულტურელია.

ოქროს ხელი აქვსო, ამბობენ 21 წლის ზ. ჯაიანზე, რომელმაც საუკეთესო ხარატის წოდებისთვის გამართულ საქალაქო შეჯიბრებაში პირველობა დაისაკუთრა. ჯაიანი კარგი მძლეოსანი და ნიჭიერი მწვრთნელიცაა. იგი საზოგადოებრივ საწყისებზე უძღვება ქარხნის მძლეოსნებს, რომელთაგან შარშან 12 მესამეთანრიგოსანი აღზარდა. ფოთის ფიზკულტურული კოლექტივების შეჯიბრებაში მისმა მოწაფეებმა უძლიერესის სახელი მოიპოვეს. ქარხნის კალათბურთელთა გუნდმა შარშან „განთიადის" საქალაქო საბჭოს ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა.

ფეხბურთელთა გუნდი, რომელსაც საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტი ა. იზრაელაშვილი ავარჯიშებს, წლევანდელი საქალაქო ჩემპიონატის ლიდერია. გუნდის წევრები მე-6 საშუალო სკოლას შეფობენ. დაუფასდათ კიდეც. მოსწავლეებმა რესპუბლიკურ ტურნირში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს.

კარგად მუშაობენ ჭადრაკისა და შაშის სექციები. მთელი კოლექტივის მონდომებული შრომის შედეგი იყო ისიც, რომ ამ საწარმოს სპორტსმენებმა კომპლექსურ ჩათვლაში უძლიერესის სახელი დაისაკუთრეს. ეს წარმატება მით უფრო დასაფასებელია, რომ კოლექტივის ბაზას კალათბურთის ერთადერთი მოედანი წარმოადგენს.

როგორც ქარხნის დირექტორმა შ. იობიძემ გვითხრა, ფიზკულტურელებს განზრახული აქვთ ბაზები საკუთარი ძალით მოაწყონ.

ვ. ბუკინი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ფოთი.




# ოლიმპიადა და მისი მტერ-მოყვარე

ჩვენს წინაა ყოველი სპორტსმენისა და სპორტის მოყვარულთათვის წმიდა დოკუმენტი — ოლიმპიური ქარტია. მისი პირველივე მუხლი გვამცნობს: „ოლიმპიური თამაშები ოთხ წელიწადში ერთხელ ტარდება. იგი სპორტსმენ-მოყვარულებს აერთიანებს ყველასთვის თანაბარუფლებიან და სამართლიან შეჯიბრებებში. სხვადასხვა ქვეყანასა და ცალკეულ პირებს შორის რასობრივი, რელიგიური და პოლიტიკური დისკრიმინაცია დაუშვებელია“.

მაშ ასე, თანაბარუფლებიანი და სამართლიანი ასპარეზობა, არავითარი დისკრიმინაცია — ასეთია ოლიმპიური პრინციპები. მაგრამ როგორ ხორციელდება ეს პრინციპები სინამდვილეში, როგორ ატარებს მათ ცხოვრებაში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი, ვინაა ოლიმპიადის ჭეშმარიტი მეგობა-

### სულ 7 სპორტსმენი

**ლუსაკა,** 13 აგვისტო. **ზამბია მექსიკის ოლიმპიადაში სულ 7 სპორტსმენის გაგზავნას აპირებს. მათგან ოთხი მოკრივე იქნება, სამი — მარათონული რბენის ოსტატი.**

რი, ვინაა მისი იდუმალი თუ აშკარა მტერი?

საიდუმლო როდია, რომ ჩვენს დღეებში ჯერ კიდევ მთელი რიგი ქვეყნები განიცდიან პოლიტიკურ დისკრიმინაციას სპორტის სფეროში. ლაპარაკია პირველ ყოვლისა კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაზე, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაზე, კუბის რესპუბლიკაზე. როგორია სოკ-ის პოზიცია ამ საკითხში? საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა სსრ კავშირის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ინიციატივით ბევრჯერ განიხილა პოლიტიკურ დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საკითხები, რის შედეგადაც მიღებულია რამდენიმე ძალიან პროგრესული და მრავლისმეტყველი გადაწყვეტილება. მაგალითად, სოკ-მა ყველა საერთაშორისო ფედერაციას მისცა რეკომენდაცია თავიანთ წესდებებში შეიტანონ პუნქტები, რომელთა ძალითაც აიკრძალება ოფიციალური ჩემპიონატების ჩატარება იმ ქვეყნებში, სადაც ყველა ეროვნული ფედერაციის გუნდებს არ ექნებათ თავისუფალი შესვლის გარანტია. სოკ-ის წესდებაში ნათქვამია, რომ ეს პირობა აუცილებელია ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორი ყველა ქვეყნისთვის. ბოლო სესიაზე (1968 წლის თებერვალი, გრენობლი) საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ნათქვამია: „სოკ-ი არ დაუშვებს პოლიტიკის ჩარევას სპორტში და დისკრიმინაციას ეროვნული ოლიმპიური გუნდების მიმართ“. მაგრამ იმავე სესიაზე მიიღეს მეორე გადაწყვეტილებაც. იგი აშკარად მოწმობს, რომ საერთაშორისო ოლიმპიური მოძრაობის ხელმძღვანელი ორგანოს ზოგიერთი მოღვაწის სიტყვა და საქმე ერთი სულაც არ არის. სოკ-მა უარი განაცხადა იმაზე, რომ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ოლიმპიური ნაკრები ამ სახელით მოიხსენიოს (სურთ ძალაში დატოვონ მისი ძველი სახელი „ჩრდილოეთ კორეის გუნდი“). საკითხავია, რა საფუძველზე უარყოფს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი სუვერენული, დამოუკიდებელი სახელმწიფოს სპორტსმენთა სამართლიან მოთხოვნას, რომლებიც თავიანთ ქვეყანას მისი ოფიციალური სახელით იხსენიებენ.

მოგაგონებთ, რომ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი სოკ-მა ჯერ კიდევ 1963 წელს აღიარა. დიდმა საერთაშორისო სპორტულმა გაერთიანებებმა — ფეხბურთის, ტანვარჯიშის, ჭიდაობის, სროლის, კრივის, ძალოსნობის, კანოეს, ძიუდოს ფედერაციებმა გადაწყვიტეს ამ ქვეყნის გუნდისთვის მისი ოფიციალური სახელი ეწოდებინათ. 1968 წლის 16 ივნისს ინსბრუკში (ავსტრია) საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის საბჭოს სხდომა შედგა. საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ „ჩრდილოეთ კორეის სათხილამურო სპორტის ფედერაციის“ მაგიერ ამიერიდან დაედგინათ სახელი — „კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სათხილამურო სპორტის ფედერაცია“. რატომაა, რომ სოკ-ი დღემდე უწევს დაუშვებელ დისკრიმინაციას ამ ქვეყანას და მის ათლეტებს? 1968 წლის 19 მარტს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ოლიმპიურმა კომიტეტმა სპეციალურ განცხადებაში მკაცრად გააკრიტიკა ეს პოლიტიკა, მაგრამ საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა გონივრული პროტესტი ყურად არ იღო. ამ დღეებში კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ოლიმპიურმა კომიტეტმა ახალი განცხადება გამოაქვეყნა. მასში პირდაპირაა ნათქვამი: სოკ-მა თვითნებურად მიიღო გადაწყვეტილება, რომ ჩვენი ქვეყნის დელეგაციას „ჩრდილოეთ კორეის გუნდი“ უწოდოს, რითაც ხელს უშლის ოლიმპიურ თამაშებში მის მონაწილეობას.

სოკ-ის რეაქციული უმეტესობა 80 წლის ჩიკაგოელი მილიონერის ე. ბრენდეჯის ხელმძღვანელობით ცდილობს მსოფლიო სპორტული მოძრაობის ბედი გადაჭრას გარკვეული იმპერიალისტური წრეების თვალთახედვის მიხედვით, რომელთაც არ სურთ საერთაშორისო დაძაბულობის განელება. მრავალი წლის მანძილზე დისკრიმინაციას განიცდის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდიც. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი გდრ-ის წარმომადგენლებს თამაშებში დღემდე „აღმოსავლეთ გერმანიის“ გუნდად მოიხსენიებს, რესპუბლიკის სპორტსმენებს არ აძლევს საშუალებას იასპარეზონ საკუთარი დროშის ქვეშ, შეასრულონ თავიანთი ეროვნული ჰიმნი.

1965 წლის ოქტომბერში საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა აღიარა გდრ-ის სპორტსმენთა უფლება, რომ ზამთრისა და ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში დამოუკიდებელი გუნდით გამოსულიყვნენ. მიუხედავად ამისა, გდრ-ის ოლიმპიური კომიტეტი აღიარებულია „მოცემულ გეოგრაფიულ რაიონში მოქმედ ორგანიზაციად“ და სოკ-ის ოფიციალურ ბიულეტენში „აღმოსავლეთ გერმანიადაა“ მოხსენიებული. სოკ-ის რეზოლუცია მეხიკოს ოლიმპიადაში ორი გერმანული გუნდის (გფრ და გდრ) გამოსვლას ითვალისწინებს ერთი ოლიმპიური დროშით და საერთო ჰიმნით (ბეთჰოვენის სიმფონია).

არ შეიძლება არ გავიხსენოთ, რომ ეს გადაწყვეტილებაც კი (რომელიც გდრ-ის სპორტსმენებს დამოუკიდებელი გუნდის სახით გამოსვლის უფლებას ანიჭებს, მაგრამ მაინც უწევს მათ დისკრიმინაციას) სოკ-მა მსოფლიო საზოგადოებრიობის გავლენით მიიღო, რომელსაც ნამდვილი ბრძოლა დასჭირდა ბონის სპორტულ პოლიტიკოსებთან და მათ ერთგულ მოკავშირეებთან — ნატოს წარმომადგენლებთან. თავად მაშინდელმა კანცლერმა ბ-ნმა ერჰარდმა ინტერვიუ მისცა დიუსელდორფის სპორტული ინფორმაციის სააგენტოს „შპორტ ინფორმაციონს დინსტს“. ამ ინტერვიუში იგი აშკარად ცდილობდა გავლენა მოეხდინა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებებზე. „სულითა და გულით ვიმედოვნებ, რომ საერთოგერმანული ოლიმპიური გუნდი კვლავაც იარსებებს“, — განაცხადა ერჰარდმა. მას დაავიწყდა, რომ გფრ-ის საგარეო საქმეთა სამინისტრო პოლიტიკური და ეკონომიური დაწოლის ძალით აიძულებდა ნატოს სხვა ქვეყნებს შესასვლელი ვიზები არ მიეცათ გდრ-ის სპორტსმენებისთვის, შინაგან საქმეთა სამინისტრო კი აპატიმრებდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენებს, რომლებიც გფრ-ში ჩადიოდნენ სასპარეზოდ. ბატონი კანცლერი ლაპარაკობდა რაღაც „კომუნისტურ დაბრკოლებებზე“, რაც ვითომ ორი გერმანული სახელმწიფოს სპორტსმენთა ურთიერთობაში არსებობდა.

ამ „კომუნისტური დაბრკოლების“ გამო ხომ არაა, რომ გდრ-ის სპორტულმა გუნდებმა ოფიციალურ შეჯიბრებებზე ნატოს ქვეყნებში შესასვლელი ვიზა დასავლეთ ბერლინის „დამაკავშირებელ ბიუროში“ უნდა აიღონ? ამასთან, ნებართვა მათ ეძლევათ მხოლოდ როგორც კერძო პირთ.

როცა ერჰარდი კიზინგერმა შეცვალა, დასავლეთგერმანული შპორტბუნდის პრეზიდენტმა, ფაბრიკანტმა ვ. დაუმემ განაცხადა: გფრ-ის ახალი მთავრობა სპორტულ პოლიტიკას მალე ახალ კალაპოტში ჩააყენებსო. დაუმეს ეს სიტყვები, როგორც დასავლეთგერმანული მთავრობის მეთაურის ლაპარაკი „ახალ აღმოსავლეთ პოლიტიკაზე“, პროპაგანდისტული ხრიკი აღმოჩნდა. დაუმე და მისი მომხრეები მტკიცედ დაუკავშირდნენ ჰალშტაინის დოქტრინას, რომელიც მსოფლიოში პირველ გერმანულ მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს არ აღიარებს. შპორტბუნდელები არაფერს თაკილობენ, ოღონდ კი როგორმე შეურაცხყონ გდრ-ის უფლებები: სანქციებს ადებენ სპორტსმენებს, რომელთაც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ათლეტებთან აქვთ კავშირი, ცდილობენ შეჯიბრებები მოაწყონ ნატოს ქვეყნებში, სადაც გდრ-ისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდებს მათი ოფიციალური სახელით არ მოიხსენიებენ, მართავენ შეჯიბრებებს დასავლეთ ბერლინის იმ ნაწილში, რომელიც გფრ-ის ტერიტორიას არ ეკუთვნის და ა. შ.

ზარშან დევენტერში (ჰოლანდია) ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი ციგურებით სწრაფრბენაში. ამ ასპარეზობაში მონაწილეობა უნდა მიეღო გფრ-ის ორ სპორტსმენ ქალს — ევა ზაპლს და ჰილდეგარდ ზელკუბერს. წილისყრით მათ შეხვდათ სასტარტო ნომრები — მეექვსე და მერვე, მაგრამ სტარტი ვერც ერთმა ვერ აიღო. გუნდები ალუმზე გამოვიდნენ, იმ დაფის ქვეშ კი, რომელზეც „გფრ“ ეწერა, გაჩნდა ლაკონიური ფრაზა: „17 საათსა და 30 წუთზე ჩამოსული არ იყვნენ“.

რატომ „არ იყვნენ ჩამოსული“ ზაპლი და ზელკუბერი? ჩემპიონატის დღეებში ჰამბურგის გაზეთი „დი ველტი“ წერდა, რომ სპორტსმენებმა შეჯიბრებაში მონაწილეობაზე „პროტესტის ნიშნად“ უარი განაცხადეს. რის წინააღმდეგ? თურმე პროტესტის მიზეზი ის ყოფილა, რომ დევენტერში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლები გამოდიოდნენ ოფიციალური ტიტულით — „გდრ-ის გუნდი“.

მაგრამ, როგორც იტყვიან, შუბი

### იტალიელთა საჩუქარი

**რომი,** 13 აგვისტო. **მექსიკის მომავალ ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებით იტალიის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა ამ ქვეყნის დედაქალაქს მიართვა დიდი მოზაიკური პანო, რომლის ფართობი 110 კვადრატული მეტრია, წონა—რამდენიმე ტონა.**

ხალთაში არ დაიმალება. მალე ცნობილი გახდა, რომ სპორტსმენები არაფერ შუაში იყვნენ. „სპორტსმენებს კი არ უთქვამთ, მათ უთხრეს უარი“, — წერს გაზეთი „დოიჩეს შპორტეხო“. დასავლეთგერმანულმა შპორტბუნდმა ზაპლსა და ზელკუბერს ჰოლანდიაში ჩასვლა აუკრძალა.

კრივის საერთაშორისო სამოყვარულო ასოციაციის ევროპის რეგიონალურმა ბიურომ თავის ამასწინანდელ სხდომაზე თეირანში გადაჭრით უარყო დასავლეთ გერმანიის თხოვნა, რომ 1969 წლის ჩემპიონატი კიოლნში ჩატარებულიყო. ეს პირველობა ბუქარესტში გაიმართება. სხდომის გადაწყვეტილებაში ხაზგასმითაა აღნიშნული: უარის მიზეზია გფრ-ში არსებული ვითარება, რომელიც ტურნირში თანაბარუფლებიანი მონაწილეობის გარანტიას ვერ მისცემს ასოციაციაში შემავალი ყველა ქვეყნის სპორტსმენებსო.

დამახასიათებელია, რომ დასავლეთ გერმანიის მოკრივეთა კავშირის პრეზიდენტმა კრაუზემ გფრ-ში დაბრუნების შემდეგ განაცხადა: „ხომ იცით, მე არავითარი გარანტიის მიცემა არ შემეძლო. ყველასთვის ცხადია, რომ ასეთ საკითხებს ჩვენ ვერ გადავწყვეტთ. ეს საკითხები ბონში წყდება, ჩემთვის კი არავის უთქვამს, რომ იქ არსებული პოზიციის შეცვლას აპირებენ. სწორედ ამიტომ, იძულებული ვართ მორიგი მწარე ლუკმა ჩავყლაპოთ“.

მაშ ასე, კრაუზეს გარანტიის მიცემა არ შეეძლო. ამასთან დაკავშირებით შეიძლება დაისვას რეზონული კითხვა: შეუძლიათ თუ არა შესაბამისი გარანტიის მიცემა 1972 წლის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორებს — მიუნჰენის მესვეურებს? თუ არ შეუძლიათ, მაშინ გონივრული იქნება თამაშების ამ ქალაქში ჩატარება? სხვათა შორის, ამ შეკითხვას იძლევიან თვად დასავლეთგერმანელი სპორტსმენები და სპორტული მოღვაწეები. ჰამბურგის გაზეთ „დი ცაიტის“ სპორტული მიმომხილველი, მაგალითად, დასცინის სპორტში ცივი ომის მომხრე შპორტბუნდელებს. იგი იგონებს, რა არეულობა გამოიწვია გფრ-ში იმ ამბავმა, რომ ბუდაპეშტში დასავლეთგერმანელ სპორტსმენებს გდრ-ს ჰიმნის მოსმენა მოუხდათ (ბონს სურდა თავისი დელეგაცია ბუდაპეშტიდან გაეწვია, მაგრამ სპორტსმენებმა უარი განაცხადეს). მაშინ ბონმა საზოგადოებრიობის მოტყუება გადაწყვიტა. ბუდაპეშტიდან მძლეოსნური შეჯიბრების გადაცემის დროს დასავლეთგერმანული ტელევიზიის მუშაკი ჰარტმანი აპარატებს გადართავდა ხოლმე იმ დროს, როცა სტადიონზე გდრ-ის სპორტსმენებს აჯილდოებდნენ და ამ ქვეყნის ჰიმნი სრულდებოდა, გფრ-ის ტელემაყურებლებს კი ატყუებდნენ: ეს ტექნიკური ხარვეზების ბრალიაო.

### ერთი თვის თავზე

**კონგო (კინშასა),** 13 აგვისტო. **ამ ქვეყანამ, რომელიც საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში ერთი თვის წინ გაერთიანდა, უკვე მიიღო ოფიციალური მიწვევა მექსიკის თამაშებში. მიწვევა კონგოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარეს კალალს გადასცა XIX ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენელმა.**

„დი ცაიტის“ მიმომხილველი იგონებს ყოველივე ამას და წერს:

„ყველა სპორტის მოყვარულის ყურადღებას თანდათანობით იქცევს მიუნჰენის 1972 წლის ოლიმპიადა, რომელიც კულმინაციური პუნქტი იქნება რადიოსა და ტელევიზიის სპორტული პროგრამებისთვისაც. არა გვგონია, რომ ჩვენი სპორტსმენები დათანხმდნენ თავიანთი მთავრობის წინადადებას და გდრ-ის ჰიმნის შესრულების შემდეგ მიუნხენიდან წავიდნენ. მაშ, რა შეიძლება გაკეთდეს?“ — კითხულობს მიმომხილველი და ასკვნის: „როგორც ბონში მითხრეს, მათ უკვე უფიქრიათ იმაზე, რომ საკვებით გამორთონ ბგერა. მაგრამ მე უკეთესი რამ მომივიდა აზრად. ზონის (ცივი ომის რაინდები ასე უწოდებენ გდრ-ს.—რედ.) წარმომადგენელთა მისალმების დროს სტადიონზე რეაქტიული გამანადგურებლების ესკადრილიამ უნდა გადაიაროს. როგორ გგონიათ, ჰიმნს გაიგონებს ვინმე?“.

დასავლეთის იმპერიალისტური წრეები ყველა შესაძლებლობას გამოიყენებენ, რათა სპორტი ხალხების მიმართ მტრული პოლიტიკის იარაღად აქციონ. როცა თავისუფლების კუნძულის ყოველმხრივ ბლოკადას იწყებდა, აშშ-მ გადაწყვიტა კუბის რესპუბლიკის იზოლირება სპორტული პლანით. გავიხსენოთ, თუნდაც, სახელმწიფო დეპარტამენტის კატეგორიული გადაწყვეტილება, რომელიც ამერიკელ სპორტსმენებს კუბელ ათლეტებთან შეხვედრას უკრძალავს. ეს „ბოიკოტი“ ვერ დაარღვია დიდოსტატმა ბ. ფიშერმაც კი, რომელსაც ჰავანაში სურდა ჩასვლა უდიდესი მოჭადრაკის ხოსე რაულ კაპაბლანკას ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირში სათამაშოდ. ამერიკის ბეისბოლის ფედერაციამ მოითხოვა კუბელები ლათინური ამერიკის კავშირიდან გაერიცხათ, ამერიკის სამოყვარულო ათლეტური კავშირის წარმომადგენლები კი ყოველგვარი ხრიკებით უშლიდნენ ხელს ოლიმპიურ თამაშებში კუბელ სპორტსმენთა მონაწილეობას. ამერიკის შეერთებულ შტატებში დიდი შრომა დაიხარჯა საიმისოდ, რომ კუბის დელეგაცია არ დაეშვათ ცენტრალური ამერიკისა და კარიბის აუზის ქვეყნების X თამაშებში (პუერტო-რიკო). სახელმწიფო დეპარტამენტმა ისიც კი მოითხოვა, რომ კუბელ სპორტსმენებს შესასვლელი ვიზები მექსიკაში მიეღოთ ამერიკის ელჩთან. გემი, რომელზეც კუბელი სპორტსმენები იყვნენ, პუერტო-რიკოს ნაპირებთან გაჩერდა და აქ იდგა ვიზის მოლოდინში. სახელმწიფო დეპარტამენტმა მხოლოდ მსოფლიო სპორტული საზოგადოებრიობისა და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ჩარევის შემდეგ გასცა ნებართვა. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლება უარს ამბობდა პროვოკაციაზე. ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტებმა, რომლებიც ხელყოფენ ოლიმპიურ იდეალებს, აშკარად სცადეს კუბელ სპორტსმენთა მოქცევა თავიანთ კლანჭებში, ვიდრე ამ ცდის უშედეგობა არ შეიგნეს.

სპორტის, ოლიმპიური იდეალების ასეთი შეურაცხყოფა ბინძური პოლიტიკური ინტერესებისთვის დასავლეთში ყოველდღიურ ამბად იქცა. ასეთი ფაქტების წინაშე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენელთა გამუდმებულ ბრძოლას ყოველგვარი, მათ შორის, პოლიტიკური დისკრიმინაციის წინააღმდეგ. და ამ ბრძოლაში სსრ კავშირის ოლიმპიურმა კომიტეტმა უკვე მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებას. საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ინიციატივით ნატოს ქვეყნების მთავრობებს ოფიციალური პროტესტი გაუგზავნა იმ დისკრიმინაციის გამო, რომელსაც ისინი გდრ-ის სპორტული ორგანიზაციების მიმართ ეწევიან.

ჩვენმა წარმომადგენლებმა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში დაგმეს სახელმწიფო დეპარტამენტის პოლიტიკა კუბის მიმართ და სოკ-ს მოსთხოვეს გადაჭრით ჩარეულიყო პუერტო-რიკოს თამაშების ჩატარების საქმეში.

სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების აქტიური და თანმიმდევრული მოქმედების შედეგია, რომ ახლა გდრ-ის ორგანიზაციები სოკ-ის მიერ აღიარებულ ყველა საერთაშორისო ფედერაციაში შედიან. ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ შეცვალა გადაწყვეტილება 1967 წლის მსოფლიო პირველობის იაპონიაში ჩატარების თაობაზე იმასთან დაკავშირებით, რომ ასპარეზობის ორგანიზატორებმა ვერ აღუთქვეს ყველა წესისა და ტრადიციის დაცვა გდრ-ისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენთა მიმართ. ალპინიზმისა და საცურაო სპორტის, ფეხბურთის, სპორტული პრესის საერთაშორისო ფედერაციების წესდებებში შეტანილია პუნქტები, რომელთა ძალითაც პოლიტიკური, რელიგიური და რასობრივი დისკრიმინაცია აკრძალულია.

საბჭოთა სპორტული ორგანიზაციები მუდამ აქტიურად უჭერდნენ და უჭერენ მხარს გდრ-ისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლიან მოთხოვნებს. დასტურად შეიძლება გამოდგეს საბჭოთა გუნდის უარი 1967 წლის უნივერსიადაში და ფრენბურთელ ქალთა გუნდების იაპონიის მსოფლიო პირველობაში მონაწილეობაზე.

### ესტაფეტების იმედი აქვთ

**ტორონტო,** 13 აგვისტო. **მეხიკოს მძლეოსნურ სარბიელზე კანადიდან 18 ვაჟი და 8 ქალი გამოვა. „ნეკერჩხლის ფოთლის“ ქვეყნის მთავარ იმედს წარმოადგენენ 4×400 მეტრზე ვაჟთა ესტაფეტის მონაწილეები: რ. მაკენზი, დ. დომანსკი, ბ. კროზერსი და ბ. მაკლარენი. კროზერსს შესარჩევ შეჯიბრებებში მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ გუნდში იგი მაინც შეიყვანეს. ესტაფეტაზე (4×100 მ) ამყარებენ იმედს ქალებიც.**

1967 წელს სსრ კავშირმა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიაზე განსახილველად შეიტანა წინადადება: უნდა შესრულდეს რა საკუთარი წესები, რომელთა ძალითაც აკრძალულია პოლიტიკური დისკრიმინაცია, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა შეუზღუდავად უნდა აღიაროს გდრ-ის და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ოლიმპიური კომიტეტები.

ასეთია სსრ კავშირის პოზიცია საერთაშორისო სპორტულ მოძრაობაში. გამუდმებით ამხილებენ რა პოლიტიკოსებს სპორტში, რომლებიც ცდილობენ დაარღვიონ ხალხთა შორის მეგობრობისა და ურთიერთგაგების სულისკვეთება, ხელი შეუშალონ საერთაშორისო ფედერაციების ნორმალურ მუშაობას და საერთაშორისო სპორტულ ურთიერთობათა განვითარებას, სსრ კავშირის წარმომადგენლები საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში აცხადებენ: უარი ყველა და ყოველგვარ დისკრიმინაციას, რომელიც დედამიწის პატიოსანი ათლეტების ინტერესებს ეწინააღმდეგება!

**ა. გურკოვი.**

### მონათლული მწვერვალი

**ულან-ბატორი,** 13 აგვისტო. **ხარხირის მთის (დასავლეთ მონღოლეთი) პიკს, რომლის სიმაღლეც ზღვის დონიდან 4.116 მეტრია, „ოლიმპიური“ დაერქვა. როგორც მონცამეს სააგენტო იუწყება, ეს სახელი მწვერვალს უწოდეს მონღოლმა და იაპონელმა მთამსვლელებმა, რომლებმაც ერთობლივი ასვლა მოაწყვეს ოლიმპიური თამაშების პატივსაცემად.**

### 15 მოჭიდავე

**ტოკიო,** 13 აგვისტო. **იაპონია მექსიკის ოლიმპიურ სარბიელზე ათლეტებს გამოიყვანს თავისუფალი და კლასიკური ჭიდაობის ყველა წონით კატეგორიაში. მხოლოდ ერთი გამონაკლისი: გუნდში არ იქნება კლასიკური სტილის მძიმეწონოსანი მოჭიდავე: ქვეყნის სამოყვარულო ჭიდაობის ასოციაციის აზრით, იაპონიაში არ არის ათლეტი, რომელსაც ამ წონაში ღირსეულად გამოსვლა შეეძლოს. მაშ ასე, ამომავალი მზის ქვეყნიდან ოლიმპიადაში 15 მოჭიდავე ჩაებმება.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სერვოლანი თბილისის ზღვაზე

საჰაერო სათხილამურო სპორტის ფედერაციის ოსტატებს ამ დღეებში უცხოელი სტუმრები ეწვივნენ. ქართველ სპორტსმენებთან ერთობლივი ვარჯიშისა და საჩვენებელი გამოსვლების მოსაწყობად თბილისში ჩამოვიდნენ ფრანგი სპორტსმენები — ევროპის ჩემპიონი საწყლოსნო-სათხილამურო სამჭიდში, საფრანგეთის მრავალგზის ჩემპიონი ჟ.-მ. ჟამენი (პარიზი), ევროპის ჩემპიონი ფიგურულ სრიალსა და სლალომში კ. რეზენი (გრენობლი), სლალომში ევროპის პირველობის ვერცხლის პრიზიორი ჟ.-ი. პარპეტი (პარიზი), მსოფლიო პირველობის ბრინჯაოს პრიზიორი ფიგურულ სრიალში ს. მორეალი (პარიზი), ჟ. ბოდრი (კლერმონ-ფერანი), დელეგაციის ხელმძღვანელი, საფრანგეთის საწყლოსნო-სათხილამურო სპორტის ფედერაციის პრეზიდენტი რ. ჟამენი...

მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი გუნდის სტუმრობა დიდ სარგებლობას მოუტანს ქართველ სპორტსმენებს, რომლებმაც სულ რამდენიმე წელია დაიწყეს ტალღებთან ბრძოლა. ამიტომ შეხვედრის მიზანი უმთავრესად იყო გამოცდილების გაზიარება, სწავლა, ოსტატობის ამაღლება. ასეთია ოსტატობის კანდიდატების ა. სანაძის, გ. ყიასაშვილის, ვ. ძაგანიას, პირველთანრიგოსნების მ. ბაქანიძისა და ო. ჩხეიძის აზრი.

და მაინც, შაბათს — ფიზკულტურელის საკავშირო დღეს თბილისის ზღვაზე განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია სერვოლანით (ფრანით) ფრენის ხანგრძლივობაში მსოფლიო რეკორდსმენის, პარიზელი ბერნარ დანისის ოსტატობამ. თბილისელი მაყურებლისა და სპორტსმენებისთვის ეს სახეობა ახალი ხილია. დანისმა 5 წუთს დაჰყო ჰაერში ფრანით, რომელიც კატარღაზე იყო გამობმული. ტალღებს ზემოთ იგი მხოლოდ მაშინ აიჭრა, როცა კატარღამ საკმაო სისწრაფე განავითარა.

როგორც მსოფლიო რეკორდსმენი ამბობს, სერვოლანის მართვა ძნელი სულაც არაა, ოღონდ ჩვენში ეს ძვირი გვიჯდებაო.

დასასრულს დავსძენთ, რომ ბ. დანისის მსოფლიო რეკორდი 5 საათს უდრის. რეკორდები აღინიშნება ფრენის სიმაღლეშიც. საუკეთესო სპორტსმენები 80 მეტრამდე ადიან.

**ზ. ქვათაძე.**

* * *

სურათებზე: ბ. დანისი გაფრენის წინ და ჰაერში.

ფოტო ავტორისა.



სსრ კავშირის პირველობა

„ა" კლასი II ჯგუფი





# ჩვენი გუნდები — 1:3, 0:0, 0:1

12 აგვისტოს გაიმართა „ა" კლასის II ჯგუფის III ქვეჯგუფის გუნდების მორიგი კალენდარული შეხვედრები, რომლებიც ასე დამთავრდა: „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) — „თერგი" (გროზნო) 3:1, „ვოლგა" (გორკი) — „ვოლგა" (ულიანოვსკი) 5:0, „სპარტაკი" (იოშკარ-ოლა) — „ვოლგარი" (ასტრახანი) 0:0, „ურალმაში" (სვერდლოვსკი) — „დინამო" (ბათუმი) 3:1, „ლოკომოტივი" (ჩელიაბინსკი) — „შირაკი" (ლენინაკანი) 1:0, „მეტალურგი" (მაგნიტოგორსკი) — „მეშახტე" (ტყიბული) 0:0, „სტროიტელი" (უფა) — „დინამო" (მახაჩყალა) 0:0, „ზვეზდა" (პერმი) — „ლოკომოტივი" (თბილისი) 1:0, „ზენიტი" (იჟევსკი) — „ფოლადი" (სუმგაითი) 7:1.

# საგარეჯო მასპინძლობს

„კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს ფიზკულტურის კოლექტივების ფეხბურთელთა გუნდების თასის გათამაშებაში გადამწყვეტი ეტაპი დადგა. როგორც ცნობილია, თასი დააწესეს საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა და გაზეთ „სოფლის ცხოვრების" რედაქციამ. გამარჯვებული მონაწილეობას მიიღებს სსრ კავშირის ზონალურ გათამაშებაში და თუ იქაც წარმატებას მიაღწია, „ოქროს თავთავის" საკავშირო თასისთვის განაგრძობს ბრძოლას.

ჩვენ უკვე გაგაცანით მატჩების შედეგები მეოთხედფინალამდე. გაიმართა მეოთხედფინალური შეხვედრებიც: საგარეჯოს რაიონის მანავის საბჭოთა მეურნეობის ფეხბურთელებმა დაამარცხეს წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის წარმომადგენლები — 8:1; მახარაძის რაიონის ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის გუნდს გამარჯვება ჩაეთვალა გეგეჭკორის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის კოლექტივთან; აწყურის საბჭოთა მეურნეობის გუნდმა მოუგო სამტრედიის რაიონის კუკუძის სახელობის კოლმეურნეობის ფეხბურთელებს (3:2 პენალტებით. დაინიშნა 5-5 პენალტი); ჩოხატაურის რაიონის ჩაისუბნის კოლმეურნე ფეხბურთელებმა „მშრალი" ანგარიშით (2:0) დაამარცხეს ჩხოროწყუს რაიონის ლესიჭინის ჩაის საბჭოთა მეურნეობის გუნდი.

ახლა ეს 4 გამარჯვებული გუნდი ერთ წრედ გაითამაშებს პირველობას. თასის გათამაშების დასკვნითი ეტაპი გაიმართება საგარეჯოში 14-18 აგვისტოს.

ფიზკულტურის კოლექტივებში

# ზრუნვის პასუხად

რიტმულად გუგუნებენ დაზგები, საკერავი მანქანები. ნათელ, მზიან საამქროებში გოგონები ფუსფუსებენ.

გაისმის საყვირის ხმა — იწყება შესვენება და საწარმოო ტანვარჯიში. სპორტის ოსტატი გ. მირიანენკო მუშებს ახალ ვარჯიშს აცნობს...

სოხუმის საგალანტერიო ფაბრიკაში უმეტესად ახალგაზრდები მუშაობენ. ყოველდღიური გეგმები 110-120 პროცენტით სრულდება. ფაბრიკამ სწორედ ახალგაზრდების მუყაითობით შეძლო, რომ მილიონ 159 ათასი მანეთის საქონლის ნაცვლად მილიონ 267 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა. მაგალითისათვის თუნდაც საცურაო კოსტიუმების გამოშვება ავიღოთ. ივნისში აქ 49600 ასეთი კოსტიუმი უნდა დაემზადებინათ და ამ გეგმას 6700 კოსტიუმით გადააჭარბეს.

ფაბრიკის დირექტორმა, წარსულში აფხაზეთის ცნობილმა სპორტსმენმა შ. გვაზავამ გვითხრა, რომ ამ წარმატების საწინდარი შრომისა და დასვენების კარგი ორგანიზაციაა. ფიზკულტურული კოლექტივი დირექციისა და პროფკავშირული ორგანიზაციის დახმარებით ყველაფერს აკეთებს მასობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობის სათანადოდ წარმართვისთვის. მოეწყო სპორტული მოედნები, შეიქმნა ტურისტულ-საექსკურსიო ბიურო, რომელიც სისტემატურად მართავს ექსკურსიებს. იყვნენ თბილისსა და ბათუმში, ნოვოროსიისკსა და სევასტოპოლში, ვარძიაში. ფაბრიკის ტურიზმის მოყვარულთა სექციის წევრებმა ამას წინათ მწვერვალი ჩუმკუზბა დალაშქრეს, შემდეგ ამყელის ტბას ეწვივნენ.

კარგად მუშაობს ფეხბურთის, მაგიდის ჩოგბურთისა და სხვა სახეობათა სექციები.

საწარმოს შიდასაფაბრიკო სპარტაკიადა კომკავშირის 50 წლისთავს მიუძღვნეს.

არც სამატჩო შეხვედრებს ივიწყებენ — ხშირად ეწყობა ტურნირები მეზობელ კოლექტივებთან. ერთი სიტყვით, ფაბრიკის სპორტის მოყვარულებს ყველა პირობა აქვთ შექმნილი და ისინიც ამართლებენ დირექციის ზრუნვას.

**ნ. მიქაშავიძე.**

სოხუმი.

# ოქროს ჭაშნიკი

**ხევანი, 12 აგვისტო.** კრივოი როგის მეტალურგიული კომბინატის ელექტროტექნიკოსმა ი. ვოლკოვმა პირველად სცადა ძალა მარათონულ რბენაში და ყველასთვის მოულოდნელად სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი დაისაკუთრა. მისი შედეგია 2:26.32. მეორე იყო მ. შაკიროვი (დუშანბე) — 2:28.43, III — ა. სუხარკოვი (მოსკოვი) — 2:28.46.

საპრიზო ექვსეულში შევიდნენ ულიანოვსკელი ნ. კარპოვი (2:29.12,4), ლენინგრადელი ი. პოპოვი (2:30.00) და მოსკოველი ფ. ჩანოვი (2:30.08).

თუ მძლეოსნობის ამ სახეობაში სსრ კავშირის ხალხთა საიუბილეო სპარტაკიადის შემდეგ პრიზიორები შეიცვალნენ, 20 კმ-ზე სპორტულ სიარულში სენსაციები არ მომხდარა. აქ I ადგილზე გავიდა ოლიმპიური ჩემპიონი ვ. გოლუბნიჩი (1:33.30,4), მეორე იყო გ. აგაპოვი (1:33.36), რომელმაც ამას წინათ ზნამენსკების მემორიალში ჩამოიტოვა გოლუბნიჩი. ევროპის 1966 წლის პირველობის პრიზიორმა ნ. სმაგამ (პენზა) ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა — 1:33.45. შემდეგ მოდიან კიეველი ბ. იაკოვლევი — 1:35.12, გ. სოლოდოვი (ომსკი) — 1:35.50, რიგელი ი. პილდმაა — 1:36.12.

ახლა ჩემპიონატი გადაინაცვლებს ლენინაკანში, სადაც ჩატარდება შეჯიბრებები მოკლე დისტანციებზე რბენაში, ხტომასა და ტყორცნაში. საბჭოთა მძლეოსნების წინაოლიმპიური პირველობა დამთავრდება წახკაძორში, სადაც საშუალო და გრძელ დისტანციებზე მორბენალთა ასპარეზობა ჩატარდება.

# „იუბილეინის" ხელახალი გარდასახვა

**ლენინგრადი, 12 აგვისტო.** სპორტის სასახლე „იუბილეინიმ" ხელახლა იცვალა სახე: კრივის „ოლიმპიური იმედების" ყოფილ სარბიელზე ახლა მწვანე ლობეებით შემოზღუდული რვა მუქი ნაცრისფერი მაგიდა გაჩნდა. დღეს აქ დაიწყო მაგიდის ჩოგბურთის ახალგაზრდა ოსტატთა XI ევროპული ჩემპიონატი.

პირადი და გუნდური პირველობისთვის 17 ქვეყნის 180-მდე ჭაბუკი და ქალიშვილი იბრძვის (ასე ხალხმრავალი ტურნირი ჯერ არ ჩატარებულა სსრ კავშირში). არც ყველაზე ნორჩები დავიწყებიათ — ერთეულთა შეხვედრებში მედლებს გაითამაშებენ 14 წლის მაგიდის ჩოგბურთელებიც. სპორტსმენებს გაცხარებული ბრძოლის დროსაც კი არ ავიწყდებათ პრიზი, რომელიც დარბაზში დგას — ბუქარესტის თასი. ამ პრიზს მიიღებს გუნდი, რომელიც ყოველმხრივ უძლიერესი აღმოჩნდება. 1961 წლიდან ბუქარესტის თასი სსრ კავშირშია.

შეჯიბრება გუნდური ტურნირით დაიწყო. სსრ კავშირის პირველმა ნაკრებმა, რომელსაც სათავეში უდგას მარშანდელი პირადი შეჯიბრების ჩემპიონი, 18 წლის რიგელი უ. უგლიტისი, ერთნაირი ანგარიშით (5:0) დაამარცხა ავსტრიისა და იუგოსლავიის გუნდები.

იუგოსლავიის გუნდში თამაშობდა ტანმორჩილი, გამხდარი ბიჭი, 14 წლის ივიცა სტიპანჩიჩი. იგი ძმაა ცნობილი იუგოსლაველი ჩემპიონის ანტონ სტიპანჩიჩისა, რომელმაც გამარჯვების გზა ასევე ჭაბუკთა ევროპულ შეჯიბრებებში დაიწყო. ივიცა მეშვიდეკლასელია, მაგრამ მაგიდის ჩოგბურთში დღესაც შეუძლია სიმწიფის ატესტატზე ჩააბაროს გამოცდა.

სსრ კავშირის მეორე გუნდმა წააგო ჩეხოსლოვაკიის ნაკრებთან (1:5) და მოუგო ნორვეგიის ჩოგბურთელებს — 5:0.

საბჭოთა გოგონების პირველმა ნაკრებმა ორი გამარჯვება მოიპოვა.

ხვალ გაირკვევა გუნდურ ტურნირში გამარჯვებულთა ვინაობა, 16 აგვისტოს კი — შეჯიბრების ბოლო დღეს გადაწყდება პირად ტურნირში გამარჯვების საკითხი.

ზუგდიდი

სოფელ კორცხელის პიონერთა ბანაკში კარგად არის დაყენებული ფიზკულტურული საქმიანობა. ბანაკის ტერიტორიაზე მოწყობილია ფრენბურთის მოედნები, ნორჩებს აქვთ მაგიდის ჩოგბურთის სათამაშო ადგილიც. აქ ხშირად ტარდება ამხანაგური შეხვედრები ფრენბურთში, ჭადრაკში, შაშსა და სხვა სახეობებში. ტურისტებმა უკვე მოაწყვეს რამდენიმე ლაშქრობა, იყვნენ ბეჩოში, ჭვარზენში, ანაკლიაში...

**გ. ალშიბაია.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საფეხბურთო ევროპა მოლოდინშია

## ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მე-14 გათამაშების წინ

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მე-13 გათამაშება 29 მაისს დამთავრდა „უემბლის“ სტადიონზე ინგლისის კლუბ „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და ლისაბონის „ბენფიკას“ ფინალური მატჩით. მანჩესტერელები ჯერ კიდევ გამარჯვებას ზეიმობდნენ, როცა ჟენევაში, სასტუმრო „ინტერკონტინენტალში“ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა მორიგი, მე-14 გათამაშების კენჭისყრა შედგა.

ევროპის უძლიერესი საფეხბურთო კლუბების ტურნირი ახლა არა მარტო ყველაზე პოპულარული, არამედ ყველაზე წარმომადგენლობითიცაა კონტინენტზე. 13 წლის მანძილზე ამ გათამაშების მონაწილეთა რიცხვი გაორმაგდა (1955 წელს — 16, 1968 წელს — 32).

იმ 32 გუნდს შორის, ა. წ. 18 სექტემბერს რომ აიღებენ ახალი გათამაშების სტარტს, თასის ხუთი ადრინდელი მფლობელია. ესენი არიან „რეალ-მადრიდი“ (ესპანეთი), „ბენფიკა“ (ლისაბონი, პორტუგალია), „მილანი“ (იტალია), „სელტიკი“ (გლაზგო, შოტლანდია) და „მანჩესტერ იუნაიტედი“ (ინგლისი). სიაში არაა მხოლოდ ერთი ჩემპიონი — იტალიის კლუბი „ინტერნაციონალე“ (მილანი) — თასის მფლობელი 1964 და 1965 წლებში.

პროგნოზები სპორტში ნაკლებად საიმედო საქმეა, მაგრამ მაინც ვფიქრობთ, რომ კენჭისყრა იღბლიანი იყო მანჩესტერის, ლისაბონისა და მადრიდის ფეხბურთელებისთვის, რომელთა მეტოქეებიც პირველ ტურში ირლანდიის, ისლანდიისა და კვიპროსის ჩემპიონები იქნებიან.

რაც შეეხებათ შოტლანდიის „სელტიკსა“ და იტალიის „მილანს“, მათი მეტოქეები — ბუდაპეშტის „ფერენცვაროში“ და სოფიის „ლევსკი“ ძალიან ძლიერები არიან. ამ მატჩებში გამარჯვებულის წინასწარ დასახელება ერთობ ძნელია.

მომავალი გათამაშება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მანჩესტერის ფეხბურთელებისთვის. მასში გამოვლენ „მანჩესტერ იუნაიტედი“ (1968 წლის ჩემპიონთა ჩემპიონი) და „მანჩესტერ სიტი“ (ინგლისის წლევანდელი ჩემპიონი).

თუ ინგლისის ბოლო ჩემპიონატში მოპოვებულმა ბრწყინვალე წარმატებამ „სიტი“ პირველად დააწინაურა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის პრეტენდენტად, „იუნაიტედის“ წარმატებამ მხოლოდ განუმტკიცა ამ გუნდს პირველთა შორის პირველის სახელი, რომლისკენაც იგი მთელი ათი წელია მიიწევს.

...ეს იყო ბელგრადში 1958 წლის 5 თებერვალს. ავსტრიელი მსაჯის სასტვენზე მინდორზე გამოვიდნენ „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და ადგილობრივი „ცრვენა ზვეზდას“ ფეხბურთელები. ამ შეხვედრას უნდა გადაეწყვიტა დავა იმის შესახებ, თუ ვინ გავიდოდა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მესამე გათამაშების ნახევარფინალში.

მიუხედავად იმისა, რომ პირველი თამაში ინგლისში მათ მოიგეს (2:1) და ახლა ფრეც ხელს აძლევდათ, მანჩესტერელებმა შეხვედრის პირველი წუთებიდანვე შეუპოვრად შეუტიეს „ცრვენა ზვეზდას“ კარს და უკვე მე-2 წუთზე მიაღწიეს წარმატებას. მალე ახალგაზრდა ბობი ჩარლტონმა კიდევ 2 ბურთი გაიტანა — 3:0. გამარჯვებაში დარწმუნებულმა სტუმრებმა მატჩის მეორე ნახევარში ყურადღება მოადუნეს, ინიციატივა ხელიდან გაუშვეს და სამაგიეროდ 3 ბურთი მიიღეს. სხვათა შორის, მესამე ბურთი იუგოსლაველებმა მატჩის დამთავრებამდე რამდენიმე წამით ადრე გაიტანეს. შედეგად — 3:3. მაგრამ ინგლისის კლუბი ამ შედეგითაც გავიდა შემდეგ ტურში.

ჩემპიონთა თასის გათამაშებაში გამარჯვებამდე ორი ნაბიჯიღა რჩებოდა და მანჩესტერელები, რომელთაც ჩინებული ანსამბლი ჰყავდათ, სერიოზულად მიიწევდნენ მიზნისკენ. მაგრამ 6 თებერვალს, ესე იგი ბელგრადის შეხვედრიდან რამდენიმე საათის შემდეგ მოხდა საავიაციო კატასტროფა და მიუნხენელი მებაღის ქოხის თავზე დაიღუპნენ კლუბის გენერალური მდივანი, მწვრთნელი, ძირითადი შემადგენლობის 7 მოთამაშე და სხვა პირები, რომლებიც გუნდს იუგოსლავიაში ახლდნენ.

ეს ტრაგედია შეიძლება შევადაროთ მხოლოდ მეორე ასეთსავე უბედურებას, რომელიც 1949 წლის 4 მაისს შეემთხვა ტურინის (იტალია) გუნდს „ტორინოს“. მიუნხენის კატასტროფამ ხანგრძლივი პერიოდით შეაჩერა მანჩესტერის ფეხბურთელთა სვლა ევროპული დიდების მწვერვალისკენ. ნახევარფინალში ისინი მთავარი მოთამაშეების გარეშე გამოვიდნენ, წააგეს იტალიის „მილანთან“ (2:1, 0:4) და ბრძოლას გამოეთიშნენ.

და აი, კატასტროფის შემდეგ, 10 წლის თავზე, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-ან წლებში შექმნილი კლუბი „მანჩესტერ იუნაიტედი“ პირველად ავიდა საფეხბურთო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. ახალგაზრდებთან ერთად გამარჯვების სიხარული გაიყვეს მიუნხენის კატასტროფაში გადარჩენილებმაც — უფროსმა მწვრთნელმა მ. ბასბიმ, ბ. ჩარლტონმა და ვ. ფოულქსმა.

„მანჩესტერ იუნაიტედი“ 25 სექტემბერს ბუენოს-აირესში და 16 ოქტომბერს თავის მინდორზე შეხვდება სამხრეთ ამერიკის თასის გათამაშებაში გამარჯვებულს, არგენტინის გუნდს „ესტუდიანტესს“ (ლა პლატა). ეს მატჩი გაარკვევს საკონტინენტთაშორისო თასის — სამფეხზე დამაგრებული ოქროს ბურთის ბედს. სავსებით შესაძლებელია ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა ჩემპიონმა ეს საპატიო ოქროს ბურთი ინგლისში ჩაიტანოს.

საბჭოთა ფეხბურთელები მესამედ გამოდიან ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე გამართულ შეჯიბრებაში. როგორც ერთი წლის წინ, ახლაც ითამაშებს ქვეყნის ჩემპიონი — კიევის „დინამო“. კიეველთა პირველი მეტოქეა შვეიცარიის ჩემპიონი „ციურიხი“, ძალიან სოლიდური და ევროპის სარბიელზე კარგად ცნობილი კლუბი.

საბჭოთა და შვეიცარიელი ფეხბურთელები ბევრჯერ შეხვედრიან ერთმანეთს სსრ კავშირშიც, შვეიცარიაშიც და ნეიტრალურ მინდვრებზეც, შეხვედრიან ჭაბუკთა, ახალგაზრდული, მოზრდილთა და ნაკრები გუნდებით. მაგრამ მოხდა ისე, რომ ამ შეხვედრებში არც ერთხელ არ მიუღიათ მონაწილეობა არც კიევის დინამოელებს, არც „ციურიხის“ სპორტსმენებს. ასე რომ, მათი პირველი მატჩი სექტემბერში იქნება გაცნობაც და ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე გამართული ძნელი ბრძოლის პირველი აქტიც.

ა. პერელი.



## ვიცე-ჩემპიონი ემზადება

სსრ კავშირის ვიცე-ჩემპიონი ჰოკეიში — მოსკოვის „სპარტაკი“ ახალი სეზონისთვის ალუშტაში ემზადება. სპარტაკელები ვარჯიშობენ მძლეოსნობაში, ძალოსნობაში, ტანვარჯიშში, კალათბურთში, ცურვაში... ერთი სიტყვით, ყველაფერში... ჰოკეის გარდა.

აას-ის კორესპონდენტთან საუბარში სპარტაკელთა უფროსმა მწვრთნელმა ნ. კარპოვმა თქვა:

— ახალი სეზონი მეტად დაძაბული იქნება და იმედია, გუნდები საინტერესოდ ითამაშებენ. ორი წრის შემდეგ 12 უძლიერესი კოლექტივი დაკავებული ადგილების მიხედვით ორ ფინალურ ჯგუფად დაიყოფა და მერე ოთხ წრედ გაითამაშებს I-XII ადგილებს. ეს პირველად ხდება სამამულო ჰოკეის ისტორიაში.

ამ რთულ მარათონში დიდი მნიშვნელობა ექნება სპორტსმენთა ფიზიკურ მომზადებას. ამიტომ სამხრეთში ჩვენი ჰოკეისტები მთავარ ყურადღებას სწორედ ფიზიკურ ვარჯიშს აქცევენ.

ჩვენი გუნდი, — თქვა შემდეგ კარპოვმა, — შეივსო ნიჭიერი ახალგაზრდებით, რომლებიც კოლექტივში „სპარტაკის“ ჭაბუკთა სკოლიდან მოვიდნენ.

სურათზე: მოსკოვის „სპარტაკის“ ჰოკეისტები დილის ვარჯიშზე.

ფოტო დ. დონსკოისა (აას-ი).

## ახალი ამბები

● მოსკოვი, 13 აგვისტო. ნორჩ პიონერთა სტადიონის ტრეკზე გამართულ შეჯიბრებაში სსრ კავშირის ჩემპიონებმა სალიდერო რბოლაში — არმიელებმა მ. მარკოვმა და მ. ზაიცევმა გუშინ შეინარჩუნეს თავიანთი უმაღლესი წოდება: ერთსაათიან ფინალურ რბოლაში მათ 63 კმ და 400 მ დაფარეს.

◆ კინგსტონი, 13 აგვისტო. იამაიკის ოლიმპიური გუნდის დაკომპლექტება გადაიდო. ახლა ადგილობრივი ათლეტური ასოციაცია მისთვის უსიამოვნო ამბის გარჩევითაა დაკავებული. საქმე ისაა, რომ ქვეყნის საუკეთესო ათლეტებმა უარი განაცხადეს შესარჩევ შეჯიბრებებში მონაწილეობაზე. ამ სპორტსმენების აზრით (მათი უმეტესობა საგანგებოდ გამოიძახეს ამერიკის შეერთებული შტატებიდან, სადაც ისინი სწავლობენ), მათთვის არაა საჭირო აშკარად სუსტ მეტოქეებთან შეჯიბრება. ეს ამბავი ათლეტური ასოციაციისა და ქვეყნის მთავრობის ფარული მოლაპარაკების საგნად იქცა. ჯერჯერობით გუნდის საბოლოო შერჩევა 5 სექტემბრისთვის გადაიდო.

მოსკოვი. სსრ კავშირის დოსააფის ვ. ჩკალოვის სახელობის ცენტრალური აეროკლუბის აეროდრომზე ამჟამად მოსკოვის ავიამოდელისტთა ნაკრები გუნდის წევრები ვარჯიშობენ. სპორტსმენები ემზადებიან საკავშირო პირად-გუნდური პირველობისთვის თავისუფლად მფრინავი მოდელებით. ეს შეჯიბრება 14-22 აგვისტოს გაიმართება ორიოლში.



სურათზე: მოსკოვის ნაკრები გუნდის ერთ-ერთი წევრი, სპორტის ოსტატი, სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი გ. მარკოვი (მარჯვნივ) წვრთნის დროს. მოდელს უშვებს მისი აღზრდილი, მოსკოვის 254-ე სკოლის მერვეკლასელი, მოსკოვის ჭაბუკთა ნაკრების წევრი ვ. ჩისტოვი, რომელმაც წლეულს მოსკოვის ნორჩ ავიამოდელისტთა შეჯიბრებაში I ადგილი დაიკავა.

ფოტო ი. სავინოვასი.

## მძლეოსნური გლობუსი

ერფურტი, 12 აგვისტო. 23 წლის ბერლინელმა სტუდენტმა-მედიკმა მ. ცერბესმა კვლავ გააუმჯობესა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის რეკორდი 400 მეტრზე რბენაში. მისი შედეგი — 45,6 წამი ამავე დროს საუკეთესოა წლეულს ევროპაში. ცერბესთან მოასპარეზე ვ. მიულერმა ასევე გადალახა 46-წამიანი ზღვარი — 45,9. გდრ-ის ახალი რეკორდი დაამყარა კ. ბეერმაც, რომელიც 809 სანტიმეტრზე გადახტა. ჭოკით ხტომაში ყველას აჯობა ვ. ნორდვიგმა (525 სმ), სამხტომში კი მოულოდნელად გაიმარჯვა ჰ.-გ. შენკმა — 16,62 მ. დ. ჰოფმანმა ბირთვი 19,97 მეტრზე ჰკრა, ხოლო მარგიტა გუმელმა — 17,77 მეტრზე. რიტა შმიდტი 182 სმ სიმაღლეზე გადებულ თამასას გადაევლო.

უოლნატი (კალიფორნიის შტატი), 12 აგვისტო. ავადმყოფობის შემდეგ კარგ სპორტულ ფორმაში დგება მსოფლიოს რეკორდსმენი 1 მილსა და 1500 მეტრზე რბენაში, 20 წლის ამერიკელი სტუდენტი ჯ. რაიანი. ამერიკის შეერთებული შტატების უძლიერეს მძლეოსანთა აქ გამართულ შეჯიბრებაში მან 1 მილი 3 წუთსა და 55,9 წამში გაირბინა (1500 მეტრზე — 3.40,5). 10.000 მეტრზე რბენის ფინიშთან პირველი იყო ოლიმპიური ჩემპიონი ბ. მილსი. მან თავისი ქვეყნის საუკეთესო დრო აჩვენა წლეულს — 28.43,6. 5000 მეტრზე რბენაში ყველას აჯობა ჯ. იანგმა — 13.38,8. 20 წლის ჯ. ვონმა ჭოკით ხტომაში 531 სმ აჩვენა. რ. ფრიმენმა 45,7 წამში გაირბინა 400 მეტრი, ხოლო 200-მეტრიან დისტანციაზე ორმა სპრინტერმა — მსოფლიოს ახალმა რეკორდსმენებმა, ზანგმა მორბენლებმა ჯ. ჰაინსმა და რ. რეიმ ერთნაირი დრო — 20,4 წამი აჩვენეს. მსოფლიოს რეკორდსმენმა რ. მათსონმა ბირთვი 20,70 მეტრზე ჰკრა.

ვესტეროსი, 12 აგვისტო. მსოფლიოს რეკორდსმენმა რ. კლარკმა (ავსტრალია) გაიმარჯვა შვეციის ამ ქალაქში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში — 2 მილი მან 8 წუთსა და 29,6 წამში გაირბინა (3000-მეტრიან მონაკვეთზე მისი დრო იყო 7.55,8). 1500 მეტრზე რბენაში მსოფლიოში წლევანდელი სეზონის საუკეთესო დროის მფლობელმა, ევროპის ჩემპიონმა ბ. ტიუმლერმა ამჯერადაც ყველას აჯობა ამ მანძილზე რბენაში — 3.39,8.

რედაქტორი მ. ქაქაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. უე 00830